პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола“. კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола“. გაზეთი ღირს წლის ბოლომდე 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 25 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (შეუმრავლესეთა) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. 25

პირველი ნოემბრიდან გაზეთი

## ბრძოლა

გამოდის ყოველდღიურათ.

გაზეთის ფასი: წლის დამლევამდე ღირს 4 მ.
ერთი თვით „ 2 მ.
ცალკე ნომერი „ — 10 კ.
მევაჭრეებს მიეცემათ ცალი 07 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება: 1) „ბრძოლის“ და „კავკ. რაბოჩის“ კანტორაში, თფილისი, გიორგის ქუჩა № 1.

2) ჩვენი პარტიის თფილისის ოთხავე რაიონის ბიუროში.

3) ჩვენი პარტიის პროვინციის ყველა ორგანიზაციებში.

თფილისის ამხ. მუშებს და გაზეთის გამავრცელებლებს ვთხოვთ გაზეთი მოიკითხონ და გასავრცელებლათ წაიღონ სტამბიდან ყოველ საღამოობით, გარდა კვირა უქმე დღეებისა. სტამბა—ამხანაგობა „ქართლი“ ძველი სემენარიის ეზოში. შესავალი ლორის მელიქოვის ქუჩიდან. რედაქციის ადრესი: თფილისი, განოვის ქ. № 3.

**ამხანაგებო!** ხელი შეუწყვეთ ყოველმხრივ „ბრძოლას“: მუშათა ორგანო მხოლოთ მუშებისავე ძალღონით და საშუალებით შეიძლება არსებობდეს.

# სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტისაგან

პეტროგრადში ძალა-უფლება პეტროგრადის საბჭოსთან არსებულ სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტის ხელშია.

## კერენსკის მთავრობა ჩამოვარდა.

კომიტეტი მიმართავს მოწოდებით ბრძოლის ველზე მყოფ და ზურგის ჯარს არ აყვეს პროვოკაციას და მხარი დაუჭიროს პეტროგრადის საბჭოს და ახალ მთავრობას, რომელიც დაუყონებლივ წამოაყენებს წინადადებას სამართლიანი ზავის შესახებ, გადასცემს მიწას გლეხებს [illegible] მოწვეული დამფუძნებელ კრებას.

[illegible] ძალა-უფლება გადადის მუშათა, სალდათთა და გლეხთა [illegible] საბჭოთა ხელში.

პეტროგრადის საბჭოს სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტი.

25 ოქტ[illegible]ლის 10 საათი.



## რუსეთის მოქალაქენო.

დროებითი მთავრობა ჩამოგდებულია. სახელმწიფოს ძალა-უფლება გადავიდა პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს ორგანოს—სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტის ხელში, რომელიც თავში უდგია პეტროგრადის პროლეტარიატს და გარნიზონს.

საქმე, რომლისთვისაც იბრძოდა ხალხი: დაუყოვნებლივი წინადადების მიცემა დემოკრატიული ზავის შესახებ, გოსპობა მემამულეთა საკუთრებისა მიწაზე, მუშათა კონტროლი წარმოებაზე, შექმნა საბჭოთა მთავრობისა—ეს საქმე უზრუნველყოფილია.

გაუმარჯოს მუშების, სალდათების და გლეხების რევოლიუციას.

პეტროგრადის საბჭოს სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტი.

## რევოლიუციის გამარჯვება.

დაკავებულია ყველა სადგურები, ტელეგრაფი, ტელეფონის სადგური, ფოსტა.

საზამთრო სასახლე და შტაბი ტელეფონის ქსელს მოწყვეტილია.

სახელმწიფო ბანკი აღებულია.

საზამთრო სასახლე, შტაბი და ახლო-მახლო ადგილები გარშემორტყმულია. დამრტყმელი ბატალიონები გაფანტულია, იუნკრები აღებულია.

ქვეითი ჯარის ნაწილები გადმოვიდნენ რევოლიუციონური კომიტეტის მხარეს.

კაზაკებმა უარი განაცხადეს დროებითი მთავრობის მორჩილებაზე.

დროებითი მთავრობა ჩამოგდებულია ძალა-უფლება გადავიდა პეტროგრადის საბჭოს სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტის ხელში.

პეტროგრადის საბჭოს სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტი.

## მოქმედი ჯარის ყველა კომიტეტებს, სალდათთა დეპუტატების ყველა საბჭოებს.

პეტროგრადის გარნიზონმა და პროლეტარიატმა ჩამოაგდო კერენსკის მთავრობა, რომელიც აუჯანყდა რევოლიუციას და ხალხს.

გადატრიალება, რომელმაც გააუქმა დროებითი მთავრობა, უსისხლოთ ჩატარდა.

პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭო აღტაცებით მიესალმა მომხდარ გადატრიალებას და საბჭოების მთავრობის შექმნამდე სცნო სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტის ძალა-უფლება და აცნობებს ამას ჯარს და ფრონტს.

ბრძოლის ველზე მყოფ და ზურგის ჯარს, სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტი მოუწოდებს რევოლიუციონურ სალდათებს სასტიკი თვალ-ყური ადევნონ კომანდის შემადგენლობის ყოფა-ქცევა.

ოფიცრები, რომლებიც პირდაპირ და აშკარათ არ შეუერთდებიან მომხდარ რევოლიუციას, უნდა დაუყონებლივ დატუსაღებულ იქნან, როგორც მტრები.

ახალი ძალა-უფლების პროგრამას პეტროგრადის საბჭო ხედავს იმაში, რომ დაუყოვნებლივ მიცემულ იქნეს წინადადება დემოკრატიული ზავის შესახებ, დაუყოვნებლივ გადაეცეს მემამულეების მიწები გლეხებს, მთელი ძალა-უფლება გადავიდეს საბჭოების ხელში და პატიოსანი გზით იქნეს მოწვეული დამფუძნებელი კრება.

სახალხო რევოლიუციონურმა ჯარმა არ უნდა დაანებოს, რომ ფრონტიდან გამოგზავნილ იქნას არასაიმედო ჯარები პეტროგრადის წინააღმდეგ. იმოქმედეთ სიტყვით და შეგონებით.

ეს ბრძანება დაუყონებლივ წაკითხულ იქნას ყველა სამხედრო ნაწილებში.

სალდათებიდან ამ ბრძანების დამალვა ჯარის ორგანიზაციების მიერ უდრის უდიდეს დანაშაულს რევოლიუციის წინაშე და დაისჯება რევოლიუციონური კანონის მთელი სისასტიკით.

სალდათებო! ბრძოლა ზავის, პურის, მიწის და ხალხის ძალა-უფლებისათვის.

სამხედრო რევოლიუც. კომიტეტი.

## საბჭოების მთავრობა

კერენსკის დროებითი მთავრობა ჩამოგდებულია. ის აშკარა ბრძოლაში და-

მარცხა პეტროგრადის პროლეტარიატმა და ჯარმა, რომელთაც ხელმძღვანელობს პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭო და ამ უკანასკნელის ორგანო—სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტი. მთელი ძალა-უფლება, გადავიდა ამ კომიტეტის ხელში:

ვინ უნდა შეადგინოს ახალი რევოლიუციონური მთავრობა? იმათ, ვინც ებრძოდა კონტრ რევოლიუციონურ მთავრობას და გადამჭრელ ბრძოლაში სძლია იგი—მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებმა; ახალი მთავრობა უნდა შეადგინონ ამ საბჭოებმა, რადგამ მხოლოთ ისინი წარმოადგენენ ხალხის რევოლიუციონურ ორგანოებს და მხოლოთ მათ წინაშე პასუხის მგებელი მთავრობა იქნება მართლა რევოლიუციონური, ხალხის ინტერესების ერთგული დარაჯი, მისი მოთხოვნილებების განმახორციელებელი და მისი სურვილების აღმასრულებელი,

ასე აყენებენ საკითხს და ცდილობენ მის განხორციელებას პეტროგრადის საბჭო, პროლეტარიატი, ჯარი, ბალშევიკები, სწორეთ ისინი, ვინც თავისი სისხლით დაიხსნა ქვეყანა კონტრ-რევოლიუციონურ მთავრობისაგან.

მეორენი ამბობენ: საბჭოების მთავრობა მიუღებელია, უნდა შესდგეს ერთგვარი დემოკრატიული მთავრობა, რომლის შედგენაში მონაწილეობა უნდა მიიღონ საბჭოებს გარდა ქალაქის და საერობო თვით-მართველობებმა. კოოპერატივებმა და ყველა იმ დაწესებულებებმა, რომელთაც რაიმე კავშირი აქვთ დემოკრატიასთან. ამას ამბობენ ისინი, ვინც მუდამ კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიას უდგენ გვერდში, ვინც აწარმოებდა ამ ბურჟუაზიასთან შეთანხმების პოლიტიკას, ვინც მთელი ძალღონით მხარს უჭერდა დროებით მთავრობას, რომელმაც დაღუპვის კარამდე მიიყვანა ქვეყანა; ამას ამბობენ ისინი, ვინც გადამჭრელ საბედისწერო ბრძოლის დროს, როდესაც პეტერბურგის პროლეტარიატი და ჯარი სისხლიდან იცლებოდა, ზურგი შეაქცია მებრძოლთ, განზე გადგა, მებრძოლი პროლეტარიატი გასწირა და შორიდან უყურებდა საშინელ სისხლის ღვრას; ამას ამბობენ მენშევიკები და ესერები, რომელთაც უმუხთლეს პროლეტარიატს და მის თავ-განწირულ ბრძოლას ავანტიურათ, რევოლიუციის და ქვეყნის ღალატათ სთვლავდენ.

მიუხედავათ ამ ღალატისა, ბრძოლის სასწორი მაინც პროლეტარიატის სასარგებლოთ გადიხარა და კონტრ-რევოლიუციონური მთავრობა დაეცა. ახლა გამოდიან მენშევიკ-ესერები და იძახიან: ახალი მთავრობა ჩვენ უნდა შევადგინოთ, სხვას რა ხელი აქვსო.

ისტორიაშიაც ასე ყოფილა: პროლეტარიატი სისხლსა ღვრიდა, ქველ მტარვალებს ამხობდა, ძალა-უფლებას კი სხვა კლასები იგდებდენ ხელთ. ახლაც იგივე მეორდება.

მაგრამ ერთი ვიკითხოთ, - ატომ არ აკმაყოფილებთ საბჭოების მთავრობა მის მოწინააღმდეგეთ? ერთგვარი დემოკრატიული მთავრობა განა საბჭოებიდან კი არ შესდგება? ვინ წარმოადგენს რუსეთის დემოკრატიას? პასუხი ერთია: მუშები, გლეხები და სალდათები. ყველა ესენი დარაზმული არიან თავის საბჭოებში, არსებობს მუშების, გლეხების და სალდათების საბჭოები. ამ საბჭოებს ერთი მოვალეობა აქვთ: რევოლიუციონური ხალხის დარაზმვა; მათ ერთი მიზანი აქვთ: რევოლიუციის სამსახური. ამ საბჭოების კარები ღიაა, ყველასათვის ვისაც კი რევოლიუციის სამსახური გულწრფელათ უნდა, ისინი ნამდვილათ აერთიანებენ მთელ დემოკრატიას, ისინი ნამდვილათ აერთიანებენ მთელ რევოლიუციონურ ფრონტს.

იქნება მოიპოვებიან ისეთი დემოკრატები, რომლებიც ამ საბჭოებში არ შედიან, რომელთაც არ ყავთ იქ თავისი წარმომადგენელი? ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ასეთები მართლა შეიძლება არსებობდეს. მაგრამ რა მოსაზრებით არ შედიან ისინი საბჭოებში? ალბათ იმიტომ, რომ ბურჟუაზიის გავლენით მათ რევოლიუციის ბედი ნაკლებათ აინტერესებთ. ისინი მიდიან ქალაქის თვითმართველობებში არა რევოლიუციის საქმეებლათ, არამედ სულ სხვა რამისთვის-სამეურნეო სანიტარულ და სხ. საქმეებისთვის

რაც შეხება კოპერატივებს, იქ იგივე ურთიერთობა არსებობს შრომასა და კაპიტალის შორის, როგორც მთელ თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, იქაც არსებობს დაქირავებული შრომა და მისი წარმომადგენელნი სხვა პროლეტარებთან ერთათ თანასწორი უფლებებით შედიან საბჭოებში.

როცა ჩვენ გვეუბნებიან ახალი მთავრობის შედგენის დროს ამ დაწესებულებებს განსაკუთრებული წარმომადგენლობა უნდა მიენიჭოს საბჭოების გვერდითო, ჩვენ ამაში ვხედავთ საბჭოებისადმი უნდობლობას, მათი გავლენის შესუსტების სურვილს.

რევოლიუციონური მთავრობის შედგენა მხოლოთ რევოლიუციონურ ორგანოებს შეუძლიათ. ასეთები კი მხოლოთ საბჭოებია. თვითმართველობები, კოოპერატივები და სხ. რა გინდ დემოკრატიულიც იყოს იგინი, რევოლიუციონერობას მაინც ვერ დაიჩემებენ.

თვითმართველობებში და კოოპერატივებში ბევრი რევოლიუციონერი მოიპოვება, მაგრამ თავის რევოლიუციონერობას იმავე საბჭოების საშუალებით ამტკიცებენ, მათი კანტროლის ქვეშ ანხორციელებენ.

საბჭოების რევოლიუციის ნამდვილი წყარო და შემომქმედი და რევოლიუციონური მთავრობაც მისი წიაღიდან უნდა წარმოიშვას, სხვა ორგანოების ამ საქმეში მიტმასნება ნიშნავს საბჭოების კანტროლის შესუსტებას მთავრობაზე, ნიშნავს რევოლიუციის დაუძლურებას.

როცა დაჟინებით მოითხოვენ ერთგვარი დემოკრატიული მთავრობის შედგენას და ამისთვის ნამდვილ დემოკრატიულ და ნამდვილ რევოლიუციონურ ორგანოებს-საბჭოებს არ სჯერდებიან, ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამით კვლავ ხიფათში აგდებენ რევოლიუციას ისინი, ვისაც აქამდე მისი ბედი ებარა; მათ კვლავ უნდათ ისეთი ელემენტები გაათრიონ მთავრობაში, რომლებიც ვერ აწარმოებენ ბურჟუაზიასთან შეურიგებელ პოლიტიკას, რომლებიც კვლავ ბურჟუაზიის გავლენას დაემორჩილებიან და რევოლიუციას ახალ საფრთხეს მოუმზადებენ.

ფართო დემოკრატიაზე ვინც ლაპარაკობს და თვითმართველობებისა და კოოპერატივებისკენ იცქირება, მათ საბჭოების დაჩაგვრა უნდათ არა საიმედო ელემენტებით, მათ იგივე შეთანხმების პოლიტიკა სწადიათ აწარმოვონ, რომელიც უკვე გაკოტრდა.

რევოლიუციონური მთავრობა რევოლიუციონურმა საბჭოებმა უნდა შეადგინონ. აქ არის დარაზმული რევოლიუცია, აქ არის თავმოყრილი მთელი დემოკრატია: მუშები სალდათები და გლეხები. მათ მოახდინეს რევოლიუცია, მათ დაამხვეს ძველი კონტრ-რევოლიუციონური მთავრობა, მათ უნდა შეადგინონ ახალი რევოლიუციონური მთავრობა, სხვა გზა არ არის.

გაუმარჯოს საბჭოების მთავრობას!

---

## თავდაცვიდან შეტევაზე.

პოლიტიკური ჰორიზონტი თან და თან იწმინდება, ბურუსი იფანტება და საერთო მდგომარეობა უფრო და უფრო ირკვევა. ბურჟუაზიულ ბულვარული პრესის და მასთან ხმაშეტკბილებული მენშევიკურ-ესერულ ორგანოების ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა. ასეთივე ბედი ეწია კონტრ-რევოლიუციის დამქაშებს-კორნილოვ-კერენსკის ცენტრალურ და პროვინციალურ, ფრონტის და ზურგის პატარა და დიდ კომისარებს. ეს „თფილი" კომპანია ყოველ საშვალებას ხმარობდა, რომ ხალხს, ფართო დემოკრატიას, რომელიც უაღრესათ დაინტერესებულია ახალი რევოლიუციის გამარჯვებაში, სიმართლე, ნამდვილი მდგომარეობა არ გაეგო. სარა ამაოთ, ხალხის, კლასის დაღორება, დატყუილება, ანკესზე წამოგება, აბუჩათ აგდება, ტანჯვა-წამება მხოლოთ დროებით შეიძლება. ბოლოს და ბოლოს იგი ისტორიული გამოცდილების, მთელი რიგი წაბორძიკება, წაქცევა-დამარცხების შემდეგ სოციალურ ინსტიქტის (ალღო) წყალობით ცნობს, იგნებს თავის საკუთარ კლასიურ ინტერესებს და ნამდვილ მტერ-მოყვარეს.

რა გამოირკვა?

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ რუსეთში დაიწყო ახალი ისტორიული ხანა: პეტროგრადის პროლეტარიატის აჯანყება, რომელსაც მისი კლასობრივი მტრები ნათლავდენ პატარა ჯგუფურ, სამხედრო, ბალშევიკურ შეთქმულობა ავანტიურათ,-ეს აჯანყება გადაიქცა უდიდეს, ულრმეს, უმწვავეს კლასთა ბრძოლათ, მოქალაქობრივ ომათ, ახალ რევოლიუციათ. მოწინავე სოციალისტური ავანგარდის, გასაოცარი რაინდის რევოლიუციონურ ყიჟინას ეხმაურება, ბანს აძლევს, ძმურ ხელს უწვდის, ზურგს უმაგრებს მთელი რუსეთის პროლეტარიატი, მთელი რუსეთის რევოლიუციონური ხალხი, ფრონტი და ზურგი. ახალ რევოლიუციას მხარს უჭერს ყველა ის, ვინც თავს აღწევს კონტრ-რევოლიუციონურ ოპორტიუნისტულ-ობორონცულ გიპნოზს, მოჯადოებას, ბრჭყალებს.

უზარმაზარი ცეცხლი აენთო, მოქალაქობრივი ომი გაჩაღდა, კლასი კლასს დაეჯახა, პროლეტარული ფრონტი ბურჟუაზიულ ფრონტს, სანგარი სანგარს, ბანაკი ბანაკს, დაიწყო ახალი, ჭეშმარიტათ დიდი რევოლიუცია, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს არა მარტო პროლეტარიატის, არამედ მთელი დემოკრატიის, არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი ევროპა-ამერიკის, მთელი ქვეყნის მთელი კაცობრიობის ბედი, მისი ბრწყინვალე მომავალი.

მოხდა ის, რასაც ჩვენ თავიდან ვამბობდით: რევოლიუციის მიერ წამოყენებულ კითხვების გადასაჭრელათ აუცილებელია ახალი რევოლიუცია, რომელიც სახელმწიფო ძალა-უფლებას გადასცემს ხელში რევოლიუციონურ ხალხს და მის ავანგარდს, მოხდა ის, რაც აუცილებლათ უნდა მომხდარიყო 3-5 ივლისის და კორნილოვის გამოლაშქრების შემდეგ, როცა ბურჟუაზია შეეცადა რევოლიუციის ბელადის—პროლეტარიატის სისხლის მორევში ჩახრჩობას, გასრესას-განადგურებას. მოხდა ის, რასაც ჩვენ ვამბობდით: თებერვლ-მარტის შედარებით უსისხლო რევოლიუცია,
ქობრივი ზავი, ზავი რევოლიუ
დემოკრატიის და კონტრ-რევოლიუცი
ონურ ბურჟუაზიის შორის
ჩაბარდა, მისი ადგილი დაიჭირა
რო-სასიცოცხლო კლასთა ბრძოლ
ფთრებულმა სამოქალაქო ომმა,
ის, რასაც ისტორია და მარქსიზ
წავლიდა: დიდი სოციალური კ
გადაჭრისათვის ისტორიულ განვ
ბის განსაზღვრულ ხანაში „კრ
იარალის" ადგილს იჭერს „არალ
ტიკა", ე. ი. შეიარაღებული
სიტყვიდან საქმეზე, ქადაგებიდან
დებაზე გადასვლა,

იგივე მარქსიზმი გვასწავლის
აჯანყების გამარჯვებისათვის
თგით დაცვიდან, მოგერებიდან
ზე, იერიშზე გადასვლა.

დღევანდელი რევოლიუცია
თავდაცვით. რევოლიუციონური
და უმთავრესათ მისი ავანგარდი
პოები თავს იცავდენ. კონტრ-რევ
იამ კერენსკის მთავრობის მე
ბით რამდენჯერმე შეეცადა რევ
ციის გ ხრესას: გაიხსენეთ შეტევა
ტზე, 3—5 ივლისი, სიკვდილი
ჯელი, მუშათა და სალდათთა
ზაციებთან ბრძოლა, მოსკოვის
რი, საგლეხო კომიტეტების და
ჯ. საბჭოების დევნა. (მაგ. ტამ
და კალუგის საბჭოების გარეკა
ხვრეტა კონტრ-რევოლიუციონებ
დოების მიერ), უკანასკნელათ
ტერბურგის პროლეტარიატის, ჯა
მატროსების დაშლა-განადგურება
ვოლიუციის თავის მოკვეთასა, რე
უციის ასალაგმავათ ფრონტის
ხმელეთზე და ზღვაზე გარეშე
შემოსაშვებათ და სხ. და სხ.

პროლეტარიატი პირველათ თავ
და, იგერიებდა მტერს, ირაზმებო
სახვედრათ. 24—27—26 ოქტომბ
რევოლიუციის ბელადმა აფრიალ
ყების დროშა, სახელმწიფო ძა
ლება ხელში ჩაიგდო და კონტრ-
ლიუციაზე სამკვდრო-სასიცოცხლო
ში მიიტანა.

აჯანყება მოედო თითქმის მთე
სეთსა, ქალაქს და სოფელს,
უდიდესი ისტორიაში სამოქალაქ
ჯერჯერობით ძალთა განწყობილე
ლი რევოლიუციის სასარგებლოთ
რაკობს. მოგერებიდან შეტევაზე
თია მომენტის ლოზუნგი ტაქტიკა
ლის მეთოდი. თფილისის და კავ
რევოლიუციონურ დემოკრატიის
დაირაზმოს, იერიში თვითონ მი
კონტრ-რევოლიუციაზე, და მხარ
მაგროს ავანგარდს. ამისათვის სა
რომ მან ზურგი შეაქციოს, კავში
სწყვიტოს სოციალ-პატრიოტულ
კონტრ-რევოლიუციონურ ობორო
თან, კერენსკის დამქაშებთან (მაგ
რები). თავი დაანებოს ოპორტ
ტულ, მოდუნებულ და წყალ-წყალ
ტიას (მენშევიკები) და ხელში
დროშა აჯანყების, დროშა რევ
ციის, დროშა ინტერნაციონალის,
შა ბალშევიზმის.

თავდაცვიდან შეტევაზე—აი
გვიკარნახებს მომენტი.

რევოლიუციონური ბრძოლა დ
მარჯვება ახლა—ან არასოდეს!

დადგა წამი, როცა საჭიროა რევ
ლიუციის უდიდეს ოსტატის—დანტ
ნის თქმის არ იყოს, სამი რამ: გაბედ
ლება, გაბედულება და კიდევ გაბე
ლება! გაუმარჯოს მუშათა და გლ
რევოლიუციას!

თედო

## მომავალი კატასტროფა და მასთან ბრძოლა.

### ნ. ლენინი

(გაგრძელება).

### ბანკების ნაციონალიზაცია.

ბანკების ნაციონალიზაციას შეეძლო დიდი სარგებლობა მოეტანა მთელი ხალხისთვის, ნამეტნავათ გლეხებისთვის და წვრილი მრეწველებისთვის და არა მუშებისთვის, ვინაიდგან მუშებს ბანკებთან ეგრე რიგათ საქმე არა აქვთ. დიდძალი შრომა შემოინახებოდა და თუ სახემწიფო არ მოისურვებდა ბანკებში მოსამსახურეთა რიცხვის შემოკლებას, ეს დიდი ნაბიჯი იქნებოდა წინ წადგმული ბანკების უნივერსალიზაციისაკენ ე. ი. ყველა კაცს შეეძლო ესარგებლა ბანკით, გამრავლდებოდა ბანკის განყოფილებები, გაადვილდებოდა ოპერაციები და სხვ. ადვილი და ხელმისაწდომი შეიქნებოდა კრედიტი გლეხებისთვის და წვრილ მრეწველობისთვის. სახემწიფო ადვილად გადაათვალიერებდა ფულის უმთავრეს ოპერაციებს, დაუჩქმალავად, და ადვილათ გაუკეთებდა კონტროლს, სასურველ ლონეზე დააყენებდა ეკონომიურ ცხოვრებას, შესძლებდა მიეღო არამც თუ მილიონები, არამედ მილიარდებიც სახემწიფო საჭიროებისთვის, არ დასჭირდებოდა „გასამჯელოში" ურიცხვი გიჟური პროცენტები მიეცა კაპიტალისტებისთვის, როგორც კომისიონერებისთვის. აი მიზეზი, თუ რისთვის ეწინააღმდეგებიან ბანკების ნაციონალიზაციას ყველა კაპიტალისტები, ყველა ბურჟუაზიული პროფესიები, ყველა მათი მონა-მოსამსახურენი: პლეხანოვები, პოტრესოვები და კომპ., რომელნიც ათასგვარ შესწორებებს უგონებენ და უღრესს და არსებითი სავსე ლონისძიებას, მიუხედავათ იმისა რომ ეს ლონისძიება დაუფასებელ სამსახურს გაუწევდა თავდაცვის საქმეს და „სამხედრო ძალას" უმაღლეს წერტილამდე ასწევდა.

აქ ერთი რამ შეუძლიანთ შეგვნიშნონ; რითი აიხსნება ისა, რომ იმისთანა დაწინაურებული ქვეყნები, როგორც არიან გერმანია და შეერთებული შტატები, მიუხედავათ იმისა, რომ იქ ბანკების ნაციონალიზაციას არა აქვს ადგილი, მშვენივრად ახერხებენ სახემწიფოს ეკონომიურ ცხოვრების ერთ დონეზე დაყენებას?

აიხსნება ეს იმითი, ვუპასუხებთ ჩვენ, რომ ეს სახემწიფოები, რომელთაგანაც ერთი მონარქია არის, ხოლო მეორე რესპუბლიკაა, ისინი არა მარტო კაპიტალისტური სახემწიფოებია, არამედ იმპერიალისტურნიც არიან; საჭირო რეფორმებს ისინი ახორციელებენ რეაქციონულ-იმპერიალისტურ ხრიკებით. ჩვენ კი დღეს ლაპარაკი გვაქვს რევოლიუციონურ დემოკრატიულ—სახემწიფოზე და მის გეზზე.

ამ „პაწია განსხვავებას" დიდი არსებითი მნიშვნელობა აქვს, რაზედაც საზოგადოთ მიღებულია ხმა არავინ ამოიღოს. სიტყვა „რევოლიუციონური დემოკრატია" ჩვენში (ნამეტნავათ ესერებში და მენშევიკებში) რაღაც უშინაარსო ფრაზათ გადაიქცა, როგორც, მაგალითად გოთქმა—„მადლობა ღმერთსა", რომელსაც ისინიც ხმარობენ, ვისაც სრულებით მერთი არ სწამს, ან კიდევ ისეთი სიტყვა მასალათ გადიქცა, როგორც მაგალითად „პატივცემულო მოქალაქე", როდესაც მიმართავენ ხოლმე გაზეთ „დენი"-ს „ედინსტვო"-ს თანამშრომლებს, თუმცა, ყველამ კარგათ იცის, რომ ეს გაზ[illegible]ობენ კაპიტალისტების ფულით და კაპიტალისტების სასარგებლოთ და მაშასადამე, „სოციალისტების" თანამშრომლობა ამ გაზეთში არა მგონია რომ „პატივსაცემათ" ჩაითვალოს.

თუ სიტყვას „რევოლიუციონური დემოკრატია" ჩვენ ვიხმართ არა როგორც გაცვეთილ საზეიმო ფრაზას, არამედ მის სწორი შინაარსით, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ სიტყვა „დემოკრატი" ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ხალხის უმრავლესობის და არა უმცირესობის ინტერესებზე; სიტყვა „რევოლიუცია" ნიშნავს დამსხვრევას ყველა მავნე ძველისას, რომელიც უკვე განწირულია.

როგორც გერმანიაში, ისე ამერიკაში, არც მთავრობა და არც მართველი კლასები თავის თავს „რევოლიუციონურ დემოკრატიათ" არ სთვლიან, რამოდენათაც ხმა მოგვდის ამ ქვეყნებიდგან, ჩვენში კი ესერისგან და მენშევიკებისაგან სულ სხვა გვესმის.

გერმანიაში სულ არსებობს ოთხი მსხვილი კერძო ბანკი, რომლებსაც ეროვნული ხასიათი აქვს, ამერიკაში კი ორი. ამ ბანკების მეფეები სულ ადვილათ ახერხებენ ერთმანეთთან კერძოთ შეერთებას, ეს შეერთება რჩება ყველასთვის საიდუმლოთ, ხერხდება რეაქციონურის ხრიკებით, ბიუროკრატიულის წესით და არა რევოლიუციონურად, დემოკრატიულათ, ამიტომაც ისინი ახერხებენ „ჩინოვნიკების" მოსყიდვას, (ეს საერთო მოვლენაა ამერიკაში და გერმანიაში), უნარჩუნებენ ბანკებს კერძო ხასიათს, რომ მითი შესძლონ დაიცვან ოპერაციების საიდუმლობა, რომლის შემწეობით ისინი იხრიალებენ ჯიბეში მილიონიან „ზედმეტ მოგებებს" იმავე სახემწიფოსგან.

ამერიკა და გერმანია იმ დონეზე აყენებენ ეკონომიურ ცხოვრებას, რომ მუშებისთვის (ერთის ნაწილ გლეხებისთვისაც) შექმნა სამხედრო კატორღა, ხოლო ბანკირებისთვისა და კაპიტალისტებისთვის კი სამოთხე; მაშინ, როდესაც მუშებს ჯანს აგდებინებენ და შიმშილობამდის მიჰყავთ, კაპიტალისტების მოგებას ბიუროკრატიულის ხრიკებით სწევენ გაცილებით მაღლა, ვიდრე ომის დაწყებამდე იყო.

როსეთის იმპერიალისტურ რესპუბლიკისთვისაც ყოვლად შესაძლებელია ასეთი გეზი და ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ანხორციელებენ ამას არამც თუ მილიუკოვები, შინგარიოვები, არამედ კერენსკიც ტერეშჩენკოსთან, ნეკრასოვთან, ბერნაცკისთან, პროკოპოვიჩთან და კომპ. ერთად, რომლებიც რეაქციონულ-ბიუროკრატიულის საშუალებით, როგორც არის „ბანკების ხელშეუხებლობის პრინციპი" ჰფარავენ ბანკირების „წმიდა" უფლებას გიჟურ მოგებაზე. მოდი მართალი ვთქვათ: რესპუბლიკანურ როსეთში სახეში აქვთ „რეაქციონულ ბიუროკრატიულის" წესით ერთ დონეზე დააყენონ ეკონომიური ცხოვრება, მაგრამ სურვილი ვერ მოჰყავთ ასრულებაში, ვინაიდან ხელს უშლიან „საბჭოები". ამიტომაც იყო, რომ კორნილოვი შეეცადა საბჭოების გაფქვას, და თუ ეს მან ვერ მოახერხა, უეჭველად ეცდება ამასვე კორნილოვი № 2.

აი ეს იქნება მართალი. და ეს უბრალო და იმავე დროს მწარე ჭეშმარიტება უფრო სასარგებლო იქნება ხალხის გასანათლებლათ, ვიდრე მტკნარი სიცრუე „ჩვენ დიად", რევოლიუციონურ „დემოკრატიაზე".

ბანკების ნაციონალიზაცია იმავე დროს გაგვიადვილებდა დაზღვევის საქმის ნაციონალიზაციას ე. ი. დაზღვევ კომპანიების ერთ ცენტრალურათ მომქმედ კომპანიათ და მის მოქმედების კონტროლის დაწესებით სახემწიფოსგან. დაზღვევ კომპანიების მოხელეთა ყრილობა აქაც დაგვეხმარებოდა და დაუყონებლივ, პაწია შრომის შემწეობით შეასრულებდნენ მათ გაერთიანებას. საჭირო იყო მხოლოდ, რომ რევოლიუციონურ დემოკრატიულ სახემწიფოს ამისთვის შესაფერი დეკრეტი გამოეცა და ებრძანებია დირექტორებისთვის და მსხვილ აქციონერებისთვის შიშის ქვეშ აესრულებიათ „გაერთიანება" დაუყოვნებლივ დაზღვევის საქმეში კაპიტალისტებისგან ასეულ მილიონობით დაბანდებული და მთელი შრომა მოხელეებს აწევთ კისერზე. გაერთიანება დასწევდა დაზღვევის პრემიას, რასაც შედეგათ მოჰყვებოდა დამზღვევლთა შეღავათი, ამის გარდა მისცემდა შეძლებას გაფართოვებულიყო დაზღვევის საქმე წინანდელის ძალ-ღონის და ენერგიის შეუცვლელათ. ამ რეფორმას ხელს არაფერი დაუშლიდა, გარდა ძველის ხავსისა და ერთი მუჭა იმ მოხელეებისა, რომელნიც თბილ და მდიდარ ადგილებზე სხედან. ეს რეფორმაც მაღლა ასწევდა სახემწიფოს მოგერებითი ნიჭს, შეინახავდა ხალხის ძალღონეს, და აღმოაჩენდა საშუალებათა მთელ რიგს, რომლის მეოხებით-საქმით და არა სიტყვით-შეიძლებოდა ეკონომიური ცხოვრების ერთ დონეზედ დაყენება.

(გაგრძელება იქნება).

---

## საგანგებო სხდომა პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოსი 25 ოქტომბ.

(სხდომა იხსნება დღის 2 საათ. და 35 წ.)

### ამხ. ტროცკის განცხადება.

სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტის სახელით ვაცხადებ, რომ დროებითი მთავრობა აღარ არსებობს (ტაშის ცემა). ზოგი მინისტრები დატუსაღებული არიან. დანარჩენებიც დატუსაღებული იქნებიან უახლოეს დღეებში ან საათებში (ტაშის ცემა).

რევოლიუციონურმა გარნიზონმა, რომელიც იმყოფება სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტის განკარგულებაში, გარეკა პრედპარლამენტის კრება (მხურვალე ტაშის ცემა, ხმები: „გაუმარჯოს სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტს).

ჩვენ გვეუბნებოდენ, რომ გარნიზონის აჯანყება ამ წამში პოგრომს გამოიწვევს და რევოლიუციას სისხლის ნიაღვარში ჩაახჩობსო. ჯერ ყველაფერი უსისხლოთ ხდება. არც ერთი მსხვერპლი არ არის. მე რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიიდან ვერ დავასახელებ ისეთ მაგალითებს, სადაც ასეთ დიდ მასას მიეღოს მონაწილეობა და ასე უსისხლოთ კი ჩაევლოს.

დროებითი მთავრობა, რომელსაც კერენსკი ედგა სათავეში, მკვდარი იყო და უცდიდა ისტორიულ ცოცხს, რომელსაც ის უნდა გაეგავა.

ჩვენ უნდა აღვნიშნოთ პეტროგრადის მუშების და სალდათების გმირობა და თავგანწირულება. ჩვენ აქ მთელი ღამე ვფხიზლობდით, ვიდექით ტელეფონთან და თვალყურს ვადევნებდით, როგორ წყნარათ ასრულებდენ თავის საქმეს რევოლიუციონურ სალდათების და მუშათა გვარდიის რაზმები. მოქალაქეს წყნარათ ეძინა და სრულიათ არ იცოდა, თუ ამ დროს ერთი ძალ-უფლება მეორეთი იცვლებოდა.

სადგურები, ფოსტა, ტელეგრაფი, პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო, სახელმწიფო ბანკი დაკავებულია (მხურვალე ტაშის ცემა).

საზამთრო სასახლე ჯერ არის აღებული, მაგრამ მისი ბედიც რამდენიმე წამში გადაწყდება.

პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს უფლება აქვს იამაყოს იმ სალდათებით, რომლებზედაც ის ემყარება, რომლებიც მან გამოიყვანა საბრძოლველათ და რომლებმაც მოიხვეჭეს სახელოვანი გამარჯვება.

ბურჟუაზიულ და წვრილ ბურჟუაზიულ მთავრობების თვისება იმაში მდგომარეობს, რომ მოატყუოს ხალხი.

ამ ჟამათ ჩვენ—მუშების, სალდათების და გლეხების დეპ. საბჭოებს გვაქვს ისტორიაში არ ნახული მაგალითი ისეთი ძალა-უფლების შექმნისა, რომელსაც მუშების, გლეხების და სალდათების მოთხოვნილებათა გარდა სხვა მიზნები არ გააჩნდეს.

სახელმწიფო მასის იარაღი უნდა იყოს ყოველგვარი მონობიდან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

მუშაობა არ შეიძლება სწარმოებდეს საბჭოების გავლენის გარეშე. ბურჟუაზიული მეცნიერების საუკეთესო ძალები გაიგებენ, რომ ის პირობები, რომლებსაც შექმნიან მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები, საუკეთესო პირობებია მათი მუშაობისათვის.

აუცილებელია დაწესდეს კანტროლი წარმოებაზე. გლეხებმა, მუშებმა და სალდათებმა უნდა იგრძნონ, რომ სახალხო მეურნეობა მათი მეურნეობაა.

ეს ძირითადი პრინციპია ძალა-უფლების მოწყობისა.

საყოველთაო შრომის ბეგარის შემოღება—უახლოესი მიზანია ნამდვილა რევოლიუციონური ძალა-უფლებისა.

შემდეგ ამხ. ტროცკი აუწყებს, რომ დღის წესრიგში წამოყენებულია სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტის მოხსენება და მოხსენება საბჭოების ძალა-უფლების პროგრამის შესახებ. მომხსენებლათ მეორე კითხვაზე გამოვა ამხ. ლენინი (ხანგრძლივი ტაშისცემა).

ამხ. ტროცკი აცნობებს კრებას, რომ პოლიტიკურ საქმეებზე დატუსაღებულნი განთავისუფლებული არიან და ზოგიერთი მათგანი უკვე ასრულებენ რევოლიუციონური კომისარების მოვალეობას.

ამხ. ზინოვიევიც გვეწვევა სტუმრათ პეტროგრადის საბჭოს დღევანდელ სხდომაზე.

მომქმედ ჯარში რადიოტელეგრამებია გაგზავნილი, რომ დაეცა ძველი მთავრობა და უნდა დაწესდეს ახალი ძალა—უფლება. ახალი მთავრობის პირველი ნაბიჯები ასეთი უნდა იყოს: დაუყოვნებლივი დროებითი ზავი ყველა ფრონტებზე, გლეხებისთვის მიწის გადაცემა, საჩქაროთ მოწვევა ნამდვილ დემოკრატიულ დამფუძნებელ კრებისა.

ყოფილ მინისტრ-თავმჯდომარის კერენსკის სადგომი არავინ იცის, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მალე ყველას ეცოდინება, თუ სად იქნება ის დაბინავებული.

იმ კითხვის შესახებ, თუ როგორ შეხვდა ფრონტი ამ ამბებს, ამხ. ტროცკი უპასუხებს: ჩვენ მხოლოთ დეპეშების გაგზავნა მოვახერხეთ. პასუხი ჯერ არ არის. მაგრამ ჩვენ აქ არა ერთხელ მოგვისმენია ფრონტის წარმომადგენლების სიტყვები, რომლითაც ჩვენ გვისაყვედურებდენ, რომ გადამჭრელ ნაბიჯებს არ ვაკეთებთ.

ამ დროს ზალაში გამოჩნდება ამხ. ლენინი. კრება მქუხარე ოვაციას უმართავს.

ამხ. ტროცკი განაგრძობს:

ჩვენ შორის იმყოფება ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, რომელსაც მთელი რიგი პირობების გამო არ შეეძლო ჩვენს შორის გამოჩენილიყო.

ამხ. ტროცკი ახასიათებს ამხ. ლენინის როლს რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიაში და ასე აბოლოვებს:

გაუმარჯოს ჩვენთან დაბრუნებულ ამხ. ლენინს. (ამხ. ლენინს კვლავ მქუხარე ოვაციებს უმართავენ).

**ლენინის სიტყვა.**

ამხანაგებო, მუშათა და გლეხთა რევოლიუცია, რომლის აუცილებლობაზე მუდამ ლაპარაკობდენ ბოლშევიკები, უკვე მოხდა.

რა მნიშვნელობა აქვს ამ მუშათა და გლეხთა რევოლიუციას? პირველ ყოვლისა ამ გადატრიალების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ გვეყოლება საბჭოების მთავრობა, ჩვენი საკუთარი ორგანო ძალა—უფლებისა, სადაც არავითარი მონაწილეობა არ ექნება ბურჟუაზიას. დაჩაგრული მასა თითონ ქმნის ძალა-უფლებას. ძირიანათ იქნება დამსხვრეული მართველობის ძველი აპარატი და შეიქნება ახალი აპარატი მართველობისა საბჭოების ორგანიზაციების სახით.

დღეიდან იწყება ახალი ხანა რუსეთის ისტორიაში და რუსეთის ამ მესამე რევოლიუციის საბოლოვო შედეგი იქნება სოციალიზმის გამარჯვება.

ჩვენი ერთ მორიგ მიზანთაგანია ომის დაუყოვნებლივი ლიკვიდაცია. მაგრამ იმისთვის, რომ დავაბოლოვოთ ეს ომი, რომელიც მჭიდროთ დაკავშირებულია თანამედროვე კაპიტალისტურ წყობილებასთან, ყველასათვის აშკარაა, რომ აუცილებელია თითონ კაპიტალის მორევა.

ამ საქმეში ჩვენ მოგვეხმარება ის მსოფლიო მუშათა მოძრაობა, რომელიც უკვე ვითარდება იტალიაში, ინგლისში და გერმანიაში.

სამართლიანი დაუყოვნებლივი ზავი. რომელიც წინადადებას ჩვენ მივცემთ საერთაშორისო დემოკრატიას, ყველგან მოიპოვებს მხურვალე გამოძახილს საერთაშორისო პროლეტარულ მასაში. რომ განვამტკიცოთ პროლეტარიატის ეს ნდობა, აუცილებელია დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს ყველა საიდუმლო ხელშეკრულებანი.

რუსეთის შიგნით გლეხობის დიდმა ნაწილმა განაცხადა: კმარა კაპიტალისტებთან თამაშობა, ჩვენ მუშებთან ერთად ვივლითო. ჩვენ მოვიპოვებთ გლეხების ნდობას მარტო ერთი დეკრეტით, რომლითაც მოვსპობთ მემამულეთა საკუთრებას. გლეხები მიხვდებიან, რომ მხოლოთ მუშებთან დაკავშირებაშია გლეხების ხსნა. ჩვენ დავაწესებთ ნამდვილ მუშათა კონტროლს წარმოებაზე. ჩვენ უკვე ვისწავლეთ შეთანხმებულათ მოქმედება. ამას მოწმობს ახლახან მიღებული რეზოლიუცია. ჩვენ მოგვეპოვება მასსიური ორგანიზაციის ის ძალა, რომელიც ყველაფერს სძლევს და პროლეტარიატს მიიყვანს მსოფლიო რევოლიუციამდე.

რუსეთში ჩვენ უნდა შევუდგეთ პროლეტარულ სოციალისტურ სახელმწიფოს შენებას.

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას. (მქუხარე ტაშისცემა).

განცხადების გასაკეთებლათ ტრიბუნაზე ადის ტროცკი.

**ამხ. ტროცკის განცხადება.**

უახლოესი საქმე სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტისა იმაში მდგომარეობს, რომ გაგზავნოს დელეგაცია ფრონტზე, რომელსაც უნდა გააცნოს პეტროგრადში მომხდარი რევოლიუცია.

პეტროგრადის საბჭომ უნდა გამოყოს თავისი წრიდან კომისარები ფრონტზე გასაგზავნათ. სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტის წევრებს არ შეუძლიათ ახლა თქვენ რაიმე ცნობა მოგცენ, რადგან სრულიათ არა აქვთ მოცალება. მე შემიძლია გადმოგცეთ, რომ ახლახან მიღებულ დეპეშის თანახმათ ფრონტიდან პეტროგრადისკენ ჯარები მოყავთ. კომისარების გაგზავნა აუცილებელია; ჩვენი მხრით დანაშაული იქნებოდა, რომ მთელ სახელმწიფოში არ დაგვეგზავნა კომისარები, რომელთაც უნდა აცნობონ ხალხის ფართო მასას, რაც მოხდა (ხმები: თქვენ ამით წინდაწინ სწყვეტთ მთელი რუსეთის საბჭოების სიეზდის ნებას).

მთელი რუსეთის საბჭოების სიეზდის ნება წინ და წინ გადაწყვეტილია იმ უზარმაზარი ფაქტით, რომელსაც ეწოდება პეტროგრადის მუშების და სალდათების აჯანყება და რომელიც წუხელ მოხდა. ახლა ჩვენ მხოლოთ უნდა განვავითაროთ ჩვენი გამარჯვება.

სიტყვა ეძლევა ლუნაჩარსკის, რომელსაც მხურვალე ტაშის ცემით ეგებებიან.

**ლუნაჩარსკის სიტყვა.**

ძვირფასო ამხანაგებო! ქალაქის საბჭოში ჯერ კიდევ გუშინ ჩვენ ვიცავდით ჩვენს თვალსაზრისს წინააღმდეგ კადეტების გენერლებისა და გულ-ნაწყენ სოციალისტ-რევოლიუციონერებისა, რომლებიც მით არიან გულნაწყენი, რომ რევოლიუციამ მათ გვერდი აუხვია. გუშინ ქალაქის საბჭოს წევრების უმრავლესობის სულიერი განწყობილება აშკარა მტრული და ჩვენს წინააღმდეგ მომართული იყო. დღეს გამოირკვა, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ, გამარჯვება კი დიდებული რამეა და დღეს ქალ. პეტროგრადის წარმომადგენელნი უკვე მზათ არიან დაუჭირონ მხარი ჩვენს მთავრობას და იმოქმედონ ჩვენს კომისარებთან შეთანხმებით.

ჩვენ მაინც უნდა ვაღიაროთ შემდეგი დებულება: მთლათ დაიმედება მხოლოთ ჩვენს საკუთარ ძალებზე შეგვიძლია. ეს არ ნიშნავს, რომ არ უნდა ვისარგებლოთ ისეთი მოკავშირეების მუშაობით, როგორიც არიან ქალაქის წარმომადგენლნი,—მათი მუშაობა, რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ.

ჩვენ ახლა განვიცდით დიდებულ გადატრიალებას ჩვენს ისტორიაში, ჭეშმარიტათ, ჩვენი რევოლიუცია ვითარდება დიდი რევოლიუციების მსგავსათ.

ძალა-უფლება ახლა მასის ხელში გადადის და მასამ უნდა გამოიჩინოს მტკიცე დარაზმულება. ეს დარაზმვაც არსებობს,—სად არის ის ხულიგანური პაგრომები, რომლითაც გვაშინებენ მენშევიკები და ესერები.

ჩვენ დავამტკიცებთ, რომ მოწიფული ვართ იმ დიადი მიზნისათვის, რომელიც კისრათ ვიდეთ და ჩვენ მივიტანთ ჩვენს ტვირთს სასურველ გამარჯვებამდე.

სიტყვა ეძლევა ამხანაგ ზინოვიევს, რომელსაც საბჭო უმართავს მქუხარე ოვაციას.

**ზინოვიევის სიტყვა**

ამხანაგებო, ჩვენ ამ ჟამათ ვიმყოფებით აჯანყების ხანაში. მე მგონია, რომ ორი აზრი მისი შედეგების შესახებ არ შეიძლება არსებობდეს, —ჩვენ გავიმარჯვეთ.

მე დარწმუნებული ვარ, გლეხობის უდიდესი ნაწილი ჩვენს მხარეს [illegible], როდესაც იგი გაეცნობა ჩვენს დებულებებს მიწის საკითხში.

გაუმარჯოს სოციალურ რევოლიუციას, რომელიც დღეიდან იწყება! გაუმარჯოს პეტერბურგის მუშათა კლასს, რომელიც გამარჯვებით დააგვირგვინებს საქმეს. ჩვენ დღეს გადავუხადეთ ვალი საერთაშორისო პროლეტარიატს და საშინელი მახვილი ჩავეცით ომს, ყველა იმპერიალისტებს და კერძოთ ჯალათ ვილჰელმს.

ძირს ომი. გაუმარჯოს საერთაშორისო ზავს!

მცირე ხნის კამათის შემდეგ კრება დიდძალი ხმის უმრავლესობით იღებს ვოლოდარსკის მიერ წაკითხულ რეზოლიუციას.

**რეზოლიუცია.**

„პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭო მიესალმება პეტროგრადის პროლეტარიატის და გარნიზონის ძლევა-მოსილ რევოლიუციას და განსაკუთრებით აღნიშნავს მჭიდროთ შეკავშირებას, ორგანიზაციას, დისციპლინას და იმ ერთსულოვნებას, რომელიც გამოიჩინა მასამ ამ უსისხლო და გამარჯვებულ აჯანყებაში.

საბჭო გამოსთქვამს თავის შეურყეველ რწმენას, რომ მუშათა და გლეხთა მთავრობა, რომელიც, როგორც საბჭოს მთავრობა, რევოლიუციით იქნება შექმნილი და რომელიც უზრუნველ ყოფს ქალაქის პროლეტარიატისადმი მთელი ღარიბი გლეხობის მიერ მხარის დაჭერას, რომ ეს მთავრობა მტკიცეთ გასწევს სოციალიზმისკენ, რომელიც ერთად-ერთი საშუალებაა დაიხსნას ქვეყანა წარმოუდგენელ უბედურებათა და ომის საშინელებათაგან.

ახალი მუშათა და გლეხთა მთავრობა დაუყოვნებლივ მისცემს წინადადებას ყველა მეომარ ხალხებს სამართლიანი და დემოკრატიული ზავის შესახებ.

ის დაუყოვნებლივ მოსპობს მიწაზე მემამულეების საკუთრებას და გადასცემს მიწას გლეხებს, ის შექმნის მუშათა კონტროლს წარმოებაზე და საგნების განაწილებაზე, დააწესებს საერთო სახალხო კონტროლს ბანკებზე და გადააქცევს მათ ერთს ხელმწიფოებრივ საწარმოვო საქმეთ.

პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭო მოუწოდებს რუსეთის ყველა მუშებს და მთელ გლეხობას მთელი თავისი ენერგიით თავდადებულათ დაუჭირონ მხარი მუშათა და გლეხთა რევოლიუციას. საბჭო გამოსთქვამს რწმენას, რომ ქალაქის მუშები ღარიბ გლეხებთან შეკავშირებულნი გამოიჩენენ შეურყეველ ამხანაგურ დისციპლინას, შექმნიან სასტიკ რევოლიუციონურ წესრიგს, რომელიც აუცილებელია სოციალიზმის გამარჯვებისათვის. საბჭო დარწმუნებულია, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების პროლეტარიატი დაგვეხმარება ჩვენ მივიყვანოთ სოციალიზმის საქმე სრულ და მტკიცე გამარჯვებამდე."

---

# უკანასკნელი ცნობები

ტფილისში მოსული უკანასკნელი ცნობების თანახმად 30 ოქტომბერს ღამით კრასნოე სელოში მოხდა ბრძოლა კერენსკის ჯარსა და ბოლშევიკებს შორის. ბოლშევიკების მხრით ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა პულკოვის ჯარი პოლკოვნიკ ვოლდენის მეთაურობით. ბოლშევიკების ყველა ძალებს ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი მურავიოვი. კერენსკის ჯარი დამარცხდა. თვითონ კერენსკი სად იმყოფება არ იციან.

---

სამხედრო შტაბის უფროსი დუხონინი დონსკოის დეპეშით აუწყებს, რომ გატჩინოში თავმოყრილმა ჯარმა გენერალ
კრასნოვის წინამძღოლობით პეტ-
დის გარნიზონთან დროებითი
კრა, რათა სამოქალაქო ომით
ული სისხლის ღვრა შეწყვეტო
გენ. კრასნოვის ცნობით მთავ
დალმა კერენსკიმ დასტოვა
სად იმყოფება არ იციან. ა
მარეობისა გამო და ჯარების
მართველობის დებულებათა
შეუდექი დროებითი უმაღლესი
სარდლის თანამდებობის შეს
და ჯარების უფროსებს ვუბრძან
პეტროგრადზე გალაშქრება შე
ვინაიდან ამჟამათ სხვა და სხვ
თა შორის მოლაპარაკება
ახალი დროებითი მთავრობის
ნათ, კრიზისის მშვიდობიანათ
ლების მოლოდინში მოუწოდებ
ტის ჯარებს, რათა გულდამშ
და ერთგულათ შეუდგენ პი
თავიანთ მოვალეობის შესრულ
შობლოს წინაშე, რომ მტერ
ბა არ მიეცეს ისარგებლოს
არეულობით.

მთავარ სარდლის თანამდებობ
ებით აღმასრულებელი დუხონინ

---

პეტროგრადის რევოლიუციონ
რების სარდალი მურავიოვი
გვაცნობებს:

კერენსკი ჯარები იხევენ,
ტევთ. გამარჯვებას ჩვენს მხარე

ამხ. ტროცკიდან მოვიდ
ცნობა:

პეტროგრადში მთელი ძალა
საბჭოების ხელშია. კერენსკიმ
ხალხს და ამხედრდა პეტროგრა
ხის წინააღმდეგ; მისი ჯარი მა
და უკან იხევს. პეტროგრადის
ლიუციონურმა დემოკრატიამ და
რომ ის უძლეველია. სამხედრო
ლიუციონური კომიტეტის სახელ
წოდებ ყველა რევოლიუციონ
ნიზაციებს მიიღონ საჩქარო ზ
ღალატე კერენსკის შესაპყრობათ.

---

**შავი ზღვის ფლოტი შეუერთდ**
**როგრადის რევოლიუციონურ**

შავი ზღვის რევოლიუციონ
ტი აღნიშნავს რა, რომ პეტრ
დემოკრატიამ აღმართა დროშა
უფლების გადასვლისა საბჭოებზე
მოუწოდებს ყველა საბჭოებს, არ
შოს მოწინავე მებრძოლი პეტროგ
და მხარი დაუჭირონ მას ბრძოლ
შავი ზღვის ფლოტი უერთდება პეტრო
გრადის რევოლიუციონურ დემოკ
და ბალტიის ფლოტს.

---

# პროვინცია

ხ. ერქმთი. 28 ოქტომბერს
კრება რ. ს. დ. მ. პ. (ბოლშევ
კრებას დაესწრო დახლოვებით ორ
წევრი. თავმჯდომარეთ არჩეული
ამხ. დომენტი შარაშიძე, მდივნათ
გრიშა შარაშიძე. გასარჩევი იყო
დენიმე კითხვები, მათ შორის სა
რესო იყო იაგორ მინდაძის საქ
მელიც მენშევიკებს პარტიაში მ
თა ირჩევენ საპატიო თავმჯდ
შკოლის გამგეთ და სხვა ქუდ
დაწესებულებებში. ეს ის იაგორ მინდ
რომელმაც გაყიდა ბაქოს პროლე
რიატი, რომელიც დაუძინებელი მტ
რევოლიუციის და მოფიცული
რეაქციის. კრებამ ერთხმათ მიეცეს
ნადადება პარტიას, რომ ის პარტიი
გაძევებულ იქნას! აღსანიშნავია ის
რემოება, თუ იაგორ ეპყრობიან
ამხანაგებს: [illegible]ადი ინტერესით მა
ვლებელი [illegible]ბ. როგორც გადააყენებს
კლასი [illegible]ერულათ გამოაცხადებს.

ქ. დ[illegible]

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „ქართლი", ლორის მელიქოვის ქუჩ.